

შპს „ჯი ეს სი„
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31,12,2019	31,12,2018	31,12,2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7 741 280	4 399 643	3 543 860
სავაჭრო მოთხოვნები	1 414 428	433 568	514 148
სხვა მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	222 151	683 283	246 992
მარაგები	7 420 084	7 032 951	3 583 110
- მზა პროდუქცია	7 420 084	7 032 951	3 583 110
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	17 326	20 823	24 319
ძირითადი საშუალებები	3 507 933	2 444 858	2 435 723
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			10 494
სულ აქტივები	20 323 203	15 015 126	10 358 648

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	687 237	2 207 377	627 144
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	2 132 893	991 086	431 214
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	4 245 274	938 796	245 166
სულ ვალდებულებები	7 065 404	4 137 258	1 303 524

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			

შპს „ჯი-ეს-სი“ ს/კ 211368508
ფინანსური ანგარიშგება 2019

საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	13 255 799	10 875 868	9 055 690
გადაფასების რეზერვი	2000	2 000	(566)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	13 257 799	10 877 868	9 055 124
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20 323 203	15 015 126	10 358 648

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	15 844 504	14 114 953
საქონლის გაყიდვიდან	15082665	13 484 528
მომსახურების გაწევიდან	749463	625 801
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	12376	4 624

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10 017 001)	(8 589 001)
საწყისი მარაგები	(7 032 951)	(3 583 110)
მარაგების შესყიდვა	(10 404 134)	(12 038 842)
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები	7 420 084	7 032 951
საერთო მოგება	5 827 503	5 525 952

სხვა შემოსავალი	292 447	307 847
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 185 909)	(1 050 777)
ცვეთა და ამორტიზაცია	(136 571)	(130 932)
საპროცენტო შემოსავალი:	70 073	70 418
საპროცენტო ხარჯი :	(38 077)	(16 860)
იჯარის ხარჯი	(41 220)	(41 220)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(810 673)	(973 499)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 849 930)	(1 835 023)

საოპერაციო მოგება	3 977 573	3 690 929
--------------------------	------------------	------------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-	
მარაგები		-	

*შპს „ჯი-ეს-სი“ ს/კ 211368508
ფინანსური ანგარიშგება 2019*

სხვა არაფინანსური აქტივები		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3 977 573	3 690 929	
მოგების გადასახადი	(596 636)	(553 639)	
მოგება/(ზარალი)	3 380 937	3 137 290	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3 380 937	3 137 290	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	10 877 867	9 055 124	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1 000 000)	(1 315 789)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1 005)	1 242	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13 257 799	10 877 867	

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019	2018	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3 269 158	765 033	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	3 269 158	765 033	
სავალუტო კურსის ეფექტი	72479	90 750	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4 399 643	3 543 860	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7 741 280	4 399 643	

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი ეს სი რეგისტრირებულია 1998 წლის 03 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ # 5 მისი ძირითადი საქმიანობაა უსაფრთხოების სისტემები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება მყიდველისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემისთანავე.

შეფასება ამონაგებისა ხდება მიღებული ან/და მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა ,რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწული იყო მათ საექსპლოატაციოდ .

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|----------------------------|-------------|
| • ოფისის აღჭურვილობა | 20 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 20 პროცენტი |
| • ავეჯი და ინვენტარი | 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები | 20 პროცენტი |
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • არამატერიალური აქტივები | 15 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების

ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების

ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

წმინდა მოგება გამოიყენება

დივიდენდების გასაცემად

სხვა მიზნით დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) XIII-ე თავის მოთხოვნების შესაბამისად, დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშზე და აისახება წლის მოგება ზარალის ანგარიშში.

შპს ჯი ეს სი-ს დირექტორი:



ს.სიმაევი